ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 19-56

"2" აგვისტო 2016 წ.

ქ. თბილისი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის №11-42 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015წლის8 მაისისN11-42დადგენილებაში და დადგენილებით დამტკიცებული წესის:

ა) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე განთავსების მიზანშეწონილობის განხილვისა და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის და სხვა მემორიალურობიექტის (გარდა მემორიალური დაფისა) განთავსების საკითხის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან (შემდგომში - სამინისტრო) შეთანხმების შემდგომ, კომისია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი რეკომენდაციით:

ა) განსახილველი ობიექტის ქ.თბილისის ტერიტორიაზე განთავსების საკითხის მიზანშეწონილად ცნობის შესახებ;

ბ) განსახილველი ობიექტის ქ.თბილისის ტერიტორიაზე განთავსების საკითხის მიზანშეუწონლად ცნობის თაობაზე.“

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1. მემორიალური დაფის განთავსება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ,ხოლო მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსება შეიძლება განხორციელდეს პიროვნების გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ. ამ პუნქტით დადგენილისაგან განსხვავებული ვადების შესაბამისად მემორიალური დაფისა და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსება შესაძლებელია, თუ პიროვნების დაბადებიდან სრულდება 100 წელი.“;

გ) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის და სხვა მემორიალური ობიექტის (გარდა მემორიალური დაფისა) ესკიზის კონკურსით გამოვლენის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის შემდგომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 3 დეკემბრის N3/203 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მასალებს წარუდგენს სამინისტროს შესათანხმებლად“.;

დ) მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტისესკიზისკონკურსით გამოვლენის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში და სამინისტროსთან შეთანხმებისშემდგომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, კანონმდებლობით დადგენილი წესით, იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი ობიექტის განთავსებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შესყიდვის შესახებ.“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015წლის8 მაისისN11-42დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტი მიზნად ისახავს „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015წლის8 მაისისN11-42დადგენილებით დამტკიცებულ წესში ცვლილებების შეტანას.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015წლის8 მაისისN11-42დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის2015 წლის 3 ივნისის N22.03.644 განკარგულებით შეიქმნა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების მიზანშეწონილობის საკითხის განმხილველი კომისია“.აღნიშნული კომისიის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესში ცვლილებების განხორციელების საჭიროება, რამაც განაპირობა „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტის განთავსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს2015წლის8 მაისისN11-42დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შემუშავება.

პროექტის მიღების შედეგად განისაზღვრება ვადები, რომლის მიხედვითაც მემორიალური დაფის განთავსება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პიროვნების გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ, ხოლო მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების)პიროვნების გარდაცვალებიდან 20 წლის შემდეგ. აღნიშნული რეგულაციისგან გამონაკლისი დაიშვება იმ შემთხვევაში თუპიროვნების დაბადებიდანსრულდება 100 წელი.“;

მემორიალური დაფისა და მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსებისთვის ვადების განსაზღვრა განაპირობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის წარდგენილ მოთხოვნათა კლასიფიკაციის ერთიანი კრიტერიუმის ჩამოყალიბების აუცილებლობამ.

პროექტის მიღება ხელს შეუწყობსკომისიისსაქმიანობის პროცესში ხარვეზების აღმოფხვრასა და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ერთიანი სტანდარტის ჩამოყალიბებას.

პროექტით გათვალისწინებულია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ,მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების), ობელისკის, მემორიალური დაფისა და სხვა მემორიალური ობიექტისესკიზისკონკურსის წესით გამოვლენის ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში,შესაბამისი ობიექტის განთავსებისათვის საჭირო საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლოსამუშაოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით შესყიდვის შესახებგადაწყვეტილება მიიღება, მხოლოდ საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შეთანხმების შემდგომ.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.
გ) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.
დ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.